ავტობიოგრაფია

გიორგი გურამის ძე გოგინაშვილი დავიბადე 1974 წლის 12 აპრილს თბილისში.

1991 წელს დავამთავრე ქ. თბილისის მე-16 საშუალო სკოლა.

1995-97 წლებში გავლილი მაქვს საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სამსახური.

1998 წელს დავამთავრე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი სამართლმცოდნეობის სპეციალობით.

1998-1999 წლებში ვმუშაობდი მიწის მართვის დეპარტამენტის რეგიონულ სამმართველოში – იურისტად.

1999 წელს გავიარე მოსამართლის თანაშემწის კურსები და ჩავაბარე ტესტური გამოცდა.

1999-2005 წლებში ვმუშაობდი თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში და შემდგომ საგამოძიებო კოლეგიაში მოსამართლის თანაშემწედ.

2003 წლის 4-7 ივლისს საქართველოს იუსტიციის სამოსამართლო სწავლების ცენტრში გავიარე (USAID) სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სამოსამართლო სწავლების კურსი.

2004-2005 წლებში ვკითხულობდი ლექციების კურსს სისხლის სამართალში გორის სახელმწიფო უნივერისტეტში.

2004-2005 წლებში ჩაბარებული მაქვს საკანდიდატო მინიმუმის გამოცდები სისხლის სამართლის სპეციალობით.

2004 წელს ჩაბარებული მაქვს პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა.

2005 წელს ჩაბარებული მაქვს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა.

2006 წლის 20 თებერვლის საქართველოს პრეზიდენტის №137 ბრძანებულებით დავინიშნე თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ.

2016 წლის 4 იანვრის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით დავინიშნე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ სამი წლის ვადით.

2018 წლის 22 თებერვალს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით დავინიშნე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ უვადოდ.

2019 წლის 5 ოქტომბრიდან საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეული ვიყავი საქართველოს მოსამართლეთა სადისწიპლინო კოლეგიის წევრად.

2021 წლის 31 ოქტომბერს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეულ ვიყავი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად.

2022 წლის ნოემბრიდან საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეულ ვარ საქართველოს მოსამართლეთა სადისწიპლინო კოლეგიის წევრად. ამჟამად ვარ ამავე კოლეგიის თავმჯდომარე.

მყავს მეუღლე და შვილი

გ.გოგინაშვილი

07/02/2024 წელი